პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 11 აპრილი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

78 (1073)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ინგლისის მთავრობა არ შეწყვეტს სავაჭრო-ხელშეკრულებას ჩვენთან

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი კავშირსა და ინგლისს შორის დადებული იქმნა სავაჭრო ხელშეკრულება.

ამ ხელშეკრულების ძალით ჩვენსა ინგლისს და შორის გაიმართა ცოტათ თუ ბევრათ კარგი სავაჭრო ურთიერთობა და ამ გზით ჩვენ შევსძელით საბოლოოთ დაგვერღვია ის ბლოკადა, რომელიც ჩვენ, სხვა ევროპის სახელმწიფოებთან ერთად, ინგლისმაც გამოგვიცხადა, ჩვენი კავშირის ეკონომიური ცხოვრების განადგურების მიზნით. მაგრამ მტერი მაინც არ ისვენებს.

ინგლისის სავაჭრო პალატამ მოისურვა, ჩვენთან სავაჭრო ხელშეკრულების გაწყვეტა და ამ რიგად ახალი გართულებების დამყარება ჩვენსა და ინგლისს შორის. სავაჭრო პალატამ მოსთხოვა ინგლისის მთავრობას ჩვენთან სავაჭრო ხელშეკრულების გაწყვეტა, შემდეგი მოსაზრების გამო:

რადგანაც ჩვენი კავშირს იგლისის ბაზარზე გააქვს ისეთი საქონელი, რომელიც მუშავდება ისეთ სამრეწველო ქარხნებში, რომლებიც ნაციონალიზაციამდი ინგლისის ქვეშევრდომების საკუთრებას შეადგენდა, ამიტომ სავაჭრო პალატა თხოულობდა, რომ სანამ ეს ქარხნები არ გადაეცემა კვლავ ყოფილ ინგლისელ მეპატრონეებს, მანამდი ჩვენ ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა უნდა შევსწყვიტოთ საბჭოთა კავშირთანო. ამრიგათ სავაჭრო პალატა კვლავ ახალი მოთხოვნილებებით გამოვიდა ჩვენს წინააღმდეგ.

რასაკვირველია ჩვენი მხრივ შესრულება იმ მოთხოვნის, რომელიც სავაჭრო პალატამ წამოაყენა: დაბრუნება ზოგიერთი ქარხნების კვლავ ინგლისელებისადმი, ვერავითარი საშვალებით ვერ იქნებოდა დაკმაყოფილებული, რადგან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებითად დარღვევა იქნებოდა ჩვენი კავშირის იმ კანონის, რომელსაც ნაციონალიზაციის კანონი ეწოდება.

როგორც ვიცით ამ კანონის ცხოვრებაში გატარების შემდეგ ყოველგვარი ისეთი საკუთრება როგორიც არის ქარხნები და სხვა, ჩამოერთვა კერძო მეპატრონეებს და გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებად.

ამ კანონის გატარებით იგივე ბედი ეწვია ინგლისელ მესაკუთრეებს, როგორიც ეს თვით რუს მესაკუთრეებს ეწვია.

მათი საკუთრება დღეს სახელმწიფოს საკუთრებათ არის გამოცხადებული და მას თვით სახელმწიფო იყენებს თავის საჭიროებისათვის.

მაშასადამე ჩვენი კავშირს არავითარი მოსაზრებებით არ შეეძლო სავაჭრო პალატის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ეს თავის მხრივ კარგად აღნიშნა თვითონ ინგლისის მთავრობამ, რომელმაც საკმაო სიცხადით განუმარტა სავაჭრო პალატას, რომ „ინგლისის სასამართლომ იცნო მხედველობაში მისაღებათ ის ფაქტი, რომ თუ კი საბჭოთა კავშირს თავის კანონების თვალსაზრისით შეუძლია დაამტკიცოს ის, რომ ის არის ნამდვილი მესაკუთრე იმ საქონლების, რომელიც მას შემოაქვს ინგლისის ბაზარზე, მაშინ ინგლისი ვალდებულია იცნოს საბჭოთა კავშირი ამ საქონლების მესაკუთრედ". ამის დამტკიცება ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია.

ნაციონალიზაციის კანონის თვალსაზრისით ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია დავამტკიცოთ ის, რომ ჩვენი კავშირში დამზადებული საქონელი, გატანილი ინგლისის ბაზარზე არის ჩვენი კავშირის საკუთრება.

ამით კი ბოლო ეღება სავაჭრო პალატის მოთხოვნას, რომელსაც ჯერ კიდევ თვით ინგლისის მთავრობამ ჩასცა სასიკვდილო ნახვილი, როდესაც მან სათანადო განმარტებები გაუგზავნა ამის შესახებ სავაჭრო პალატას.

აქედან ცხადია, რომ ინგლისის მთავრობას არ სურს შესწყვიტოს ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობა. მიუხედავათ სავაჭრო პალატის სურვილისა, ჩვენსა და ინგლისს შორის სავაჭრო ხელშეკრულება არ შეწყდება.

## ახალი რადიო ამბები

### ამაო ოცნება.

#### მკვდარს ვერ გააცოცხლებენ.

საზღვარგარეთ მყოფი რუსი თეთრგვარდიელები დიდ ფაცაფუცში არიან. მათ დელეგაცია გაუგზავნეს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს და სთხოვენ მას მოიწვიოს აღმასრულებელი კომიტეტი.

შეერთებული შტატების გაზეთები უსაფუძვლოდ უყურებენ რუს თეთრგვარდიელთა ყრილობას პარიზში და აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირში მონარქიის (მეფის ძალა-უფლების) აღდგენა შეუძლებელია.

### ამერიკა იმუქრება.

დემოკრატიული პარტიის კონსერვატიული ფრთის გაზეთი „ნიუ-იორკ-ტაიმსი" არჩევს ჩიჩერინის საუბარს ერთა ლიგისა და შეერთებული შტატების მბრძანებელი როლის შესახებ ევროპაში და აცხადებს, რომ ჩიჩერინის განცხადება სრული ჭეშმარიტებააო.

გაზეთი სწერს: „ევროპას, რასაკვირველია, შეუძლია განთავისუფლდეს შეერთებული შტატების კონტროლისაგან, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეერთებული შტატები შეუწყვეტს ევროპას სესხის მიცემას".

### მნიშვნელოვანი სხდომა

8 აპრილს შესდგა ინგლისის მემაღაროე მუშათა გაერთიანების აღმასრულებელ კომიტეტისა და ტრედ-იუნიონების (პროფკავშირი) კონგრესის საბჭოს სამრეწველო კომისიის წევრთა გაერთიანებული სხდომა. ამ სხდომას დიდ მნიშვნელობას მიაწერენ, ვინაიდან მას უნდა შეემუშავებია დირექტივები დელეგატების ეროვნულ კონფერენციისთვის.

თათბირის შედეგები ჯერ-ჯერობით საიდუმლოდაა დაცული.

### მზადება ამუნდსენის შესახვედრად



ცნობილი მოგზაური ამუნდსენი.

ლენინგრადის ავიაციის სამეცნიერო და ტეხნიკური დაწესებულებები აწყობენ ცნობილ მეცნიერ მფრინავის ამუნდსენის შეხვედრას. როდის მოვა ამუნდსენის დირიჟაბლი ჯერ დანამდვილებით არ იციან. თუ რომ დირიჟაბლი მოფრინდება დღისით, მას შეეგებება ჩვენი თვითმფრინავები.

---

ორშაბათს, 12 აპრილს, საღამოს 6 საათზე შესდგება ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა:

1) **კომუნალური სექცია**—წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახ. სახლი).
2) **საფინანსო სექცია**—ტფილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში.
3) **განათლების სექცია**—ტფილ. აღმასკომ. განათლების განყოფილებაში.
4) **ჯანმრთელობის სექცია**—ტფილ. აღმ. სკომ. ჯანმრთელობის განყოფ.
5) **სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის სექცია**—საადგილ-მამულო განყოფილ.
6) **სამხედრო სექცია**—აღმასკომის დარბაზში.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

## განიარაღების საკითხის შესახებ.

ინგლისში, რომ ამჟამად დიდათ გამწვავებული მდგომარეობაა, ამას აღარ ფარავენ თვით კონსერვატორები, ლიბერალები, ტრედიუნისტები, სოციალისტების ბელადები და რევოლიუციონერები. თუ ეს მდგომარეობა კიდევ გაგრძელდა მოსალოდნელია ისტორიულათ არაჩვეულებრივი წარმოებითი კატასტროფა, რასაც მოჰყვება დიდი ეკონომიური კრიზისი და მუშათა კლასის გამოფხიზლება და გარევოლიუციონერება.

ამ მდგომარეობის თავიდან დასახწევათ ინგლის დღევანდელ ბატონ-პატრონებს საჭიროთ მიაჩნიათ: ზოგს, რასაკვირველია, ფაშისტების მუშტი, ზოგს განიარაღება და მშვიდობიანობის დამყარება ყველა სახელმწიფოებს შორის, ნაწილს მსხვილი წარმოებათა ნაციონალიზაცია, ნაწილს კი, დამოუკიდებელ მუშათა პარტიას და კომუნისტებს შორის მთლიანი ფრონტის შექმნა და რევოლიუციონური ბრძოლის წარმოება კაპიტალისტურ ქვეყნების წინააღმდეგ.

ასეთივე მდგომარეობაა საფრანგეთშიაც. მრეწველობა თითქოს განვითარების პროცესს განიცდის, მაგრამ ფინანსიური კრიზისი დაუძლეველია

საქმეს ვერ უშველა ახალ ფინანსთა მინისტრის პერეს ფინანსიურმა პროექტმაც. სოციალური წინააღმდეგობანი თანდათან მატულობს, ირაზმებიან ფაშისტები, ძლიერდება პროლეტარიატი და მისი პარტიაც. რევოლიუციონური ზრდის დამამტკიცებელი ფაქტებია, ერთის მხრით, პალატაში ორი კომუნისტ დეპუტატის არჩევა, და მეორეს მხრით, კომუნისტების ხელმძღვანელობით ასიათას მეღვინეთა კავშირის წევრთა ხანგძლივი გაფიცვები.

გერმანია დაუცხრომელი სიმძიმით მოღუნული ძლივს სუნთქავს. მისი წარმოება განაგრძნობს დაქვეითებას, მუშათა კლასის უპირველესი მოთხოვნილებები ჯერ კიდევ არ არის დაკმაყოფილებული. სამართლიანათ სჩივის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი გერმანიაში—შტრეზემანი იმ „უნდობლობის და უკმაყოფილების ატმოსფერის" შესახებ, რომელიც სუფევს დღეს გერმანიაში.

პოლონეთში კი ამავე დროს მთავრობა ხვრიტავს უმუშევარ მუშების დემონსტრაციას. აღმოსავლეთში იმპერიალისტები თითქოს შეთანხმდენ. მათ განაჩენი გამოუტანეს ჩინეთის რევოლიუციას. მათ მიერ მოსყიდული გენერლები შეტევაზე გადავიდენ, მაგრამ უფრო ძლევამოსილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

იბრძვიან კლასები, იბრძვიან აღმოსავლეთის დამონებული ერები, მათ შორის შეუძლია გაჩენდეს ომიც. მათ დაცვაზე მსურველი, სახელმწიფოები ერთი-მეორეს ინტრიგებს უწყობენ, აქა-იქ კი სწარმოებს სამოქალაქო ომი.

ამავე დროს კაპიტალისტური სახელმწიფოები ლაპარაკობენ განიარაღების შესახებ. „განიარაღების" მოსალაპარაკებელ ადგილს კი, ისევ შვეიცარიაში ნიშნავენ. თითქოს არ იციან, რომ ეს ქვეყანა დაუსჯელათ ატარებს ამხ. ვოროვსკის მკვლელებს. საბჭოთა კავშირს იწვევენ განიარაღების კონფერენციაზე და თითქოს დაავიწყდათ, რომ შვეიცარიას ბოიკოტი აქვს გამოცხადებული საბჭოთა კავშირის მიერ.

იციან ის, რომ საბჭოთა კავშირი იქ არ გაგზავნის თავის წარმომადგენელს და ამიტომ გაზეთებში ავრცელებენ ხმებს, რომ მომავალ განიარაღების კონფერენცია თუ უშედეგოდ დამთავრდა, ამაში დამნაშავე იქნება საბჭოთა კავშირიო. თითქმის ყველა სახელმწიფოები გამოდიან განიარაღების მომხრეებათ, მხოლოდ საბჭოთა კავშირი ხდუმს. ის კი არ იციან, რომ განიარაღების საკითხი ჩვენ დავსვით პირველათ გენუის კონფერენციაზე, რომელიც მათ უარყვეს იციან, მაგრამ მათ სურთ მუშათა კლასი შეცდომაში შეიყვანონ. მაშ რათ სჭირიათ განიარაღებაზე მუდმივათ ლაპარაკი? ეს სჭირიათ იმისათვის, რომ მშვიდობიანობის შესახებ ყბედობით მათ მოადუნონ მუშათა მილიონების რევოლიუციონური აღტყინება.

სულ უკანასკნელი დეპეშებით ჩვენ ვტყობილობთ შემდეგს: საბჭოთა მთავრობა მომხრეა განიარაღების, მაგრამ ის არავითარ ზომებს არ ღებულობს, რათა ამ განწყობილებაზე დააყენოს რესპუბლიკის ყველა მცხოვრებლებიო. აი, მორიგი ჭორი, რომელსაც ავრცელებს დღეს ევროპის გაზეთები.

მართლადაც, „გასაკვირველი ამბავია: „იმპერიალისტები" და მათი მთავრობა მზათ არიან მთად აღიმართონ მშვიდობიანობის დასაცავად, მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების მცხოვრებლები ამის წინააღმდეგ არიან განწყობილი.

მართლადაც, ყველაფერი ეს ეშმაკურადაა მოფიქრებული!

განიარაღების მომხრე საბჭოთა კავშირის მცხოვრებნი ყოველთვის იქნებიან, აგრეთვე ფხიზლათ იქნებიან და დარაჯათ დაუდგებიან საერთო მშვიდობიანობას და საშვალებას არ მისცემენ მთელი ქვეყნის იმპერიალისტებს განიარაღებაზე ყბედობით, რომ ვინმე შეცდომაში შეიყვანონ. ეს იციდენ მათ და შეიარაღების მაგივრათ უმჯობესია განიარაღდენ.

ს. მ.

# საბრალონი.

ბრძენი ხალხია.
ჭკვიანი ხალხია გერმანიის სოციალ-დემოკრატია!
როგორც ბუზი, ისე ეხვევიან
ჩვენ კავშირს დელეგაციები.
ყველას უნდა თავის კეთილი თვალით
ნახოს, დაათვალიეროს, გაიცნოს ჩვენი კავშირი
და გაკვირდეს
იმ უდიდესი მუშაობით, რომელიც სწარმოებს
აქ ჩვენთან.
და მოდიან მრავალნი, ათვალიერებენ
და განცვიფრებულნი, აღფრთოვანებულნი
ბრუნდებიან უკან.
ხომ იცით, მახათი პარკში არ დაიმალება.
რამდენიც უნდა ეცადნონ სოციალ-დემოკრატები,
რამდენი ჰორიც არ უნდა მოიგონონ
ჩვენს ირგვლივ,
მუშამ მაინც კარგად იცის, თუ რა ხდება
აქ, შრომის სამეფოში.
დელეგატებიც ამბობენ იმას, რაც ნახეს,
უამბობენ იქაურ მუშებს ნამდვილ
ამბავს,
უამბობენ, თუ როგორ სცხოვრობენ
მუშები და გლეხები კავშირში,
უამბობენ ბევრ რამეს
და ეს ნაამბობი აფიქრებს ყველას,
ვინც იტანჯვის და ღვრის მუქთად ოფლს.
მაგრამ...
ბრძენი ხალხია გერმანიის სოციალ-დემოკრატია.
როგორ, სიმართლე საბჭოთა კავშირზე?
არა, ამას იგი ვერ მოითმენს!
ხომ გაგიგონიათ ძველთა ნათქვამი:
„სიმართლის მთქმელს ცხენი მზად უნდა ჰყავდეს,
შეჯდეს და გააჭენოს“.
და დასჭირდათ ეს ნათქვამი მათ,
ვინც ხმა-მაღლა სთქვა სიმართლე
საბჭოთა კავშირზე.
ბრძენმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ
დელეგატები—სიმართლის მთქმელნი
გამორიცხა პარტიიდან.
საბრალო ხალხი!
მეტი საშვალება ვერ გამოსძებნეს.
ამით ამოიყარეს ჯავრი,
ამითი მოიფხანეს გული.
საბრალო ხალხი!
სად გაექცევით კომუნიზმის აჩრდილს,
რომელიც თავზე დაგტრიალებთ
და გიქადით
აღგვას პირისაგან დედამიწისა?
ბრმებო! ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ
ის მუშები, რომლებსაც ატყუებთ მრავალ ხრიკებით,
სასოებით და იმედით უმზერენ
შვებისა და შრომის ქვეყანას
საბჭოთა კავშირს?

ე ხუციშვილი.

# ჯარის ნაწილის მიერ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს 1924 წ. № 1423 ბრძანებით (სამნეო ფონდზე) ერთეულის სამნეო ნაწილის ცხოვრებაში შეტანილია ახალი დასაწყისი, რომელიც საკუთარ სახსრების (თანხების) ხარჯვის მხრივ, აძლევს მას მეტ თავისუფლებას. სამნეო ფონდის დაარსებით თვითეულ ერთეულის უფროსს მეტი გასაქანი ენიჭება, ე. ი. ნება ეძლევა მას, საკუთარი ინიციატივით, გონივრულად და მიზანშეწონილად გაანაწილოს ერთეულის ყველა სახსრები (ფულის თანხები) იმ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც საჭიროებენ უფრო მეტს ყურადღებას; ეს გარემოება კი ხელს უწყობს ერთეულის კეთილდღეობასა და კარგათ მოწყობას.

სამნეო ფონდში ირიცხება ერთეულში მიღებული შემდეგი თანხები: ქონების შეკეთების, შენახვის და მოვლის საჭიროებისთვის, აგრეთვე საკანცელარიო ნივთების შეძენისა და სამნეო საჭიროებისათვის მიღებული. კიდევ ხსენებულ ფონდში ირიცხება ერთეულში სრულიად შემთხვევით შემოსული თანხები.

დახარჯვა სამნეო თანხიდან სწარმოებს, ერთეულის მოთხოვნილებების ირგვლივ, სხვა და სხვა სამნეო საჭიროებებისთვის; ამასთანავე თუ რომ ერთ რომელიმე საჭიროებისთვის არაა საკმარისი მიღებული თანხა, ეს ხარჯი შეიძლება დაიფაროს მეორე საჭიროებისთვის მიღებულ თავისუფალ ნაშთიდან, თუ ასეთი არის.

ამ ფონდიდან ფულის ხარჯვა უნდა სწარმოებდეს ყოველწლიურად ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელიც წინასწარ შედგენილი უნდა იქნას ერთეულის თავის თანაშემწის მიერ სამნეო დარგში. გასავალი ამ ხარჯთ-აღრიცხვისა არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რომელიც წლის განმავლობაში ერთეულმა უნდა მიიღოს სამნეო ფონდში ჩასარიცხათ.

ეს დიდი შეღავათი ჯარის ნაწილისთვის მოითხოვს მეტს წინდახედულობასა და სწორს და გარკვეულ წესს ხარჯთ-აღრიცხვის შედგენასა და მის შესრულებაში.

თავის-თავად ცხადია, რომ თვითეულ ერთეულს, რომელიც აწარმოებს საკუთარ მეურნეობას, უნდა ჰქონდეს მიზანშეწონილი გეგმა, რომელშიაც უნდა იყოს გათვალისწინებული კალენდარულ წესით ყველა სამნეო მომენტები და მუშაობანი, დაკავშირებული ერთეულის ყოფა-ცხოვრებასთან, ჩვენებით, სახელდობრ, თუ ვინ რა და რა დროს უნდა შეასრულოს თვითეულ მუშაობაში.

ნ. შ.

# ქვეითი ნაწილები.

ყოველივე ომი, ანუ ბრძოლა, არსებითად შეიცავს მოპირდაპირეთა პირადი ხარისხების ურთიერთ შორის ბრძოლას. აქედან ბრძოლის წარმოებისათვის ადამიანი აუცილებელი საჭიროა. ადამიანებიდან კი სდგება, ეგრედწოდებული, ცოცხალი ძალა, რაიც ითვლება ბრძოლის წარმოების ძირითად ძალად. ყოველივე ის ტეხნიკური საშვალებანი, რომლითაც მებრძოლები არიან შეჭურვილი, არის მხოლოდ ბრძოლის საშვალება.

მარტო ცოცხალ ძალას შეუძლია ეწინააღმდეგოს მტრის შემოკვრას, შემოკრას თვით მტერს, დაიკავოს მტრის სანგრები და სხვა.

შემოკვრის წინააღმდეგობა და თვით შემოკვრა მტერზე არის ყოველი არსი ბრძოლისა.

ამრიგად სამხედრო ძალების ძირითად ორგანიზაციად ყოველთვის იყო და დარჩება კიდევ ისეთი ორგანიზაცია, რომელშიც შეკრებილია მეტი ცოცხალი ძალა.

რამდენადაც ეს პირობა დაცულია ქვეითა ნაწილებში, იმდენად ეს უკანასკნელები ითვლებიან ძირითად ორგანიზაციად სამხედრო ბრძოლისთვის.

ცოტად თუ ბევრად გულმაგარ მტრის უკუქცევიზა საჭირო ხელდახელ მისვლა მასზე, რაიც არის ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი. ეს საპასუხის მგებლო მომენტი კი სავსებით აწევს ქვეითა ნაწილებს—ხელჩართული ბრძოლის სახით.

ძველ დროში ქვეითა მებრძოლი მიდიოდა მტერზე შემოსაკრავად მუშტით ან კეტით, შემდეგ დაიწყო მანძილზე ქვის სროლა, შემდეგში რკინა-ფოლადი აიღო ხელში და ჩვენს დროში კი ქვეითა მებრძოლი აღჭურვილია სამხაზიანი თოფით, ავტომატით, ტყვიამფრქვევებით და სხვა.

რამდენადაც ვითარდებოდა სამხედრო საქმე, იმდენათ ყოველი ახლად შემოღებულება პირველად რჩებოდა ქვეითების ხელში.

როდესაც რომელიმე ტეხნიკური საშვალებანი ვერ დააკმაყოფილებდა ქვეითა ჯარის პირობებს და მის განსაკუთრებულ ხასიათს, ასეთი ტეხნიკური საშვალებანი იყოფოდნენ ქვეითა ნაწილების ორგანიზაციიდან და შეადგენდნენ ცალკე დამოუკიდებელ იარაღის დარგს (მაგ. არტილერია, მესანგრე ნაწილები, ავიაცია და სხვა). ისინი თუმცა არ ითვლება ქვეითა ორგანიზაციის პირდაპირი დამოკიდებულებაში, მაგრამ მათი მოქმედება კი პირდაპირ მიმართულია ქვეითა ნაწილების სამსახურზე. ქვეითა ნაწილები კი, როგორც უმთავრესად ცოცხალი ძალის კრებული ითვლება ბრძოლის საფუძვლად.

დ. მელაძე.

# ცაკის სესია გაიხსნება 12 აპრილს

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მესამე მოწვევის მეორე სესია გაიხსნება 12 აპრილს.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“**

# ინგლისის კომუნისტური პარტია.

ძალიან ეცადა ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი თავზარი დაეცა და გაენიავებია თავის საქტიკი ზომებით ინგლისის ახალგაზრდა, მცირერიცხოვანი კომუნისტური პარტია, მაგრამ ის ანგარიშში მოტყუვდა. მას, რასაკვირველია, არ გაძნელებია შეეკრიბა კლასობრივი სიძულვილით გამსჭვალული ბურჟუაზიულ მსაჯულთა სასამართლო, რათა ციხეში გამოემწყვდია კომუნისტური პარტიის საუკეთესო მუშაკები. მაგრამ კომუნისტური პარტია ასეთ ზომებმა ვერ დაასუსტა, პირიქით, ის უფრო გაძლიერდა და გამაგრდა.

მთელი ინგლისის მუშათა მოძრაობა ერთსულოვანი პროტესტით გამოვიდა კლასიური სასამართლოსა და ზღაპრულ განაჩენთა წინააღმდეგ.

ამაოდ სცდილობდენ მაკდონალდი და ძმანი მისნი გადაექციათ პროტესტის კამპანია ლიბერალურ მანიფესტაციათ იმ „წმინდა პრინციპების“—სიტყვის თავისუფლების დარღვევის წინააღმდეგ, რომლებიც იმდენად საჭირო სამოქალაქო მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად კაპიტალისტურ ინგლისში.. მუშები არ აჰყვა მაკდონალდის მითითებას. მუშათა პროტესტები კომუნისტურ მოღვაწეების ციხეში დამწყვდევის წინააღმდეგ თანდათან იქცევა ხანგრძლივ შეგნებულ კამპანიათ; თანდათან იზრდება სიყვარული კომუნისტურ პარტიის, მისი ბრძოლის მეთოდებისა და იდეალებისადმი.

პატარა კომუნისტური პარტიის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ მას განუწყვეტი კავშირი აქვს ფართე მასებთან, ის არამც თუ მხოლოდ მონაწილეობს მუშათა ყოველდღიურ ბრძოლაში,—სათავეში უდგას ამ ბრძოლას უფრო ძნელ და საფრთხილო მოსახვევებში.

ინგლისის კომუნისტური პარტიის ხასიათისა და ძალის გასაგებად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი მასიური მოძრაობა უკანასკნელ წლებში ფაქტიურად ტარდებოდა კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებულ ლოზუნგებით და ხშირად—ამ პატარა კომუნისტური რაზმის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. უმუშევართა მოძრაობა მთელი წლების განმავლობაში კომუნისტების ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა და იმყოფება.

ასევე შეგვიძლია ვსთქვათ ეგრედ წოდებულ პროფკავშირთა უმცირესობის, ე. ი. პროფკავშირთა იმ აქტივის შესახებ, რომელიც ირაზმება ძველ, დახავსებულ პროფკავშირთა ბიუროკრატიის წინააღმდეგ, რომლებიც უპირატესობას აძლევენ შემთანხმებელ, მომრიგებელ კომისიებს აშკარა კლასიურ ბრძოლასთან. მეუმცირესეთა მოძრაობაში ჩაბმულია დღეს რამოდენიმე ასეული ათასი მუშა. მისი აღმასრულებელი კომიტეტი შესდგება კომუნისტებისა და კომუნისტების მომხრე პროლეტარებისაგან. მეუმცირესეთა მოძრაობას ხელმძღვანელობენ პროლეტარულ მოძრაობის უხუცესნი.

ინგლისის მუშათა მოძრაობა ემზადება ამ ჟამად გარდაუვალი სერიოზულ ეკონომიურ განხეთქილებებისათვის, რაც გამომდინარეობს გაუმაძღარ კაპიტალისტების სურვილისაგან—გააგრძელონ სამუშაო დღე და შეამცირონ სამუშაო ხელფასი. ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი იმუქრება, რომ იმას მზად ჰყავს ძლიერი რაზმები ყოველგვარი გაფიცვის ჩასაქრობად.

პროლეტარულ ძალთა მობილიზაცია მომავალ ბრძოლისთვის სწარმოებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ. კონფლიქტი, როგორც სჩანს, დაიწყება პირველ მაისს, როცა გადის ქვანახშირის სამრეწველოსთან დადებულ დროებითი ზავის ვადა. 21 მარტს უმცირესობამ მოიწვია კონფერენცია ყველა პროლეტარულ ორგანიზაციებისა მასიურ ბრძოლის მოსამზადებლად. კომუნისტური პარტია გაძლიერებით რაზმავს ამავე მიზნისთვის მუშათა პარტიის აქტიურ უმცირესობას. მემარცხენე უმცირესობის უკანასკნელ კონფერენციაზე, რომელიც მოწყობილი იყო კომუნისტების თაოსნობით, უკანასკნელთ გამოეხმაურა დედა-ქალაქის უფრო გავლენიანი და აქტიური მუშა ორგანიზაციები.

ინგლისის მუშათა კლასს მოელის მძიმე გამოცდები. ინგლისის ბურჟუაზიამ კარგად იცის პატარა კომუნისტური პარტიის დიდი ორგანიზაციული როლი. ეს იციან აგრეთვე ყველა ჯურის სოციალ-გამცემლებმა. მუშათა კლასის მტრები ერთიანი ფრონტით ილაშქრებენ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, მაგრამ უკანასკნელი მტკიცედ სდგას თავის სადარაჯოზე და შეიძლება ღრმა დარწმუნებით ითქვას, რომ ის სახელოვანად აასრულებს თავის მოვალეობას.

ბ.

# როგორ ასამხედროებს მოსახლეობას ამერიკის ბურჟუაზია.

ჩრდილო ამერიკის შტატებში—ახალგაზრდობის სამხედრო მომზადება იყოფა ოთხ პერიოდათ:

1. მოსამზადებელი—14 წლამდე, სადაც ახალგაზრდას წვრთნიან ტანთ-ვარჯიშობის საქმეში—და აჩვევენ სამხედრო საქმეს, მხოლოდ ელემენტარულს. მეცადინეობას აწარმოებენ სამოქალაქო პირები. ახალგაზრდობა მისდა შეუმჩნევლათ თანდათანობით ეჩვევა სამხედრო საქმეს.

მეორე პერიოდი—14 წლიან უმაღლეს სასწავლებელში შესვლამდე. ამ პერიოდში ახალგაზრდა, გარდა ფიზიკური აღზრდისა—ღებულობს „განსაზღვრულ სამხედრო მომზადებას“. ყოველ სასწავლებელში არის „სამხედრო მეცნიერების საგნები და ტაქტიკა“. აქ უკვე სამხედრო ინსტრუქტორებად არიან ოფიც. და „უნტეროფიცრები“. ყველა საშუალო სასწავლებლის მოწაფეობა შეადგენენ—ეგრედ წოდებულ ახალგაზრდების რაზმებს, რომლებსაც შესრულებული აქვთ 14 წელი; სწავლების ვადა არის 3 წელი. გადიან—განსაკუთრებით ფეხოსნის განყოფილების სწავლებას და დიდ ყურადღებას აქცევენ სროლის საქმეს. ყოველი სკოლის ძირა სართულში არის ტირი, სადაც გადიან სროლას—მცირე ყალიბიანი თოფებიდან.

ამ პერიოდის სწავლისათვის ახალგაზრდობა შეადგენენ—ლეგიონებს, ათასეულებს ასეულებს. მეთაურის თანამდებობას ასრულებენ საუკეთესოთ მომზადებული მოწაფეები. ყველა ამისთანა ნაწილებს—ყავს თავის ორკესტრი. ესენი ღებულობენ მონაწილეობას აღლუმებში, მათ ათვალიერებს რეგულიარული ჯარების გენერლობა. ამრიგათ მთელი სამხედრო მომზადების საქმე არ არის სამოქალაქო პირების ხელში, არამედ გადადის რეგულიარული ჯარების ოფიცრებზე. მესამე პერიოდი არის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც არის განსაკუთრებული სამხედრო—მეცნიერების ფაკულტეტი. აქაც მივლინებული არიან ოფიცრები, მაგრამ მაღალი წოდებიდან. მთელი სამხედრო სწავლება უნივერსიტეტში იყოფა ორ საფეხურად. პირველი—„ძირითადი კურსი სამხედრო მომზადებისა. ამ პერიოდის მიზანია, რეზერვის ოფიცერის მომზადება სამხედრო სწავლებას ყოველ კვირაში ეთმობა სამი საათი უნივერსიტეტში, პრაქტიკული მუშაობისათვის—ისინი ივლინებიან სამხედრო ნაწილებში ოთხი—ექვსი კვირის ვადით. მეორე საფეხურს— ეწოდება —„გაღრმავების კურსი“, რომელიც გრძელდება ორი წელი. სწავლებას ეთმობა 5-საათი კვირაში. სტუდენტებს, რომლებმაც გამოიჩინეს სწავლისადმი კარგი შედეგი—უნივერსიტეტის გათავების დროს, მიენიჭებათ წოდება—„ლეიტენანტის“, ფრიად კარგებს მათი სურვილებისამებრ—შეუძლიათ პირდაპირ რეგულიარულ ჯარში-შესვლა. ყოველგვარი სპეციალური სწავლება ხდება შესაფერის უნივერსიტეტში (საექიმო, საინჟენერო და სხვა).

ჯ. ქუთელია.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## მოვფინეთ სამხედრო კუთხეების ქსელი.

მე-2 ათასეულის მუშაობა.

ჩვენი ათასეულის ასეულების რაიონებში—ყველა სოფლებშია მოწყობილი სამხედრო კუთხეები. ნაწილებმა დიდი ენერგიულობა გამოიჩინეს ამ მხრივ. ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული, რათა ფართოდ ჩაეთრიათ ადგილობრივი ახალგაზრდობა უკვე დაარსებულ სამხედრო კუთხეების მუშაობაში, რომლებიც სიხარულით გამოეხმაურენ წითელ არმიელების მოწოდებებს.

მაჩხაანის რაიონში დაარსებული იქნა 6 სამხედრო კუთხე-ექვს სოფელში. კუთხეებზე მიმაგრებული არიან ნაწილიდან ხელმძღვანელები, რომლებსაც სათანადო გეგმებს აძლევენ მუშაობისათვის.

სამხკორი ბ. ლობჟანიძე.

## ჩვენი მიღწევები.

მე-5 ლეგსკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხედრო სწავლების სწორ მეთოდებზედ აგებას. მთელი ზამთრის პერიოდი ამ ამოცანებს ემსახურებოდა ჩვენ სკოლაში. ამჟამად კი უკვე შეუჩერებლივ გავლილი პირველ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას. პირველი პრაქტიკული მეცადინეობა დაიწყო ტოპოგრაფიიდან.

კურსანტები გულმოდგინეთ მუშაობდენ. შემდეგ კი დაიწყეთ საბრძოლო წესების სწავლა პრაქტიკულად. მიღწევა ამ დარგში დიდია. სკოლა კვირაში ერთხელ გადის საგარნიზონო ყარაულში, სადაც პირნათლად ასრულებენ მოვალეობას და იცავენ მტკიცედ დისციპლინას.

საგრძნობი მიღწევები გვაქვს სროლის საქმეში. 86 კაციდან მხოლოდ 4 ვერ მოარტყა მიზანში. დანარჩენები იშვიათი სიზუსტით ისროდენ. შესრულებული იქნა ორი სროლის ილეთი. ეს თვალსაჩინო მიღწევაა და მომავალშიც იმედია უფრო ენერგიულად შეასრულებენ იმ ამოცანებს, რომელიც მთელი ზაფხულის პერიოდში ევალება წითელი ჯარის ნაწილებს და აღიზრდებიან მომავალი ჯარის მშენებლობისათვის გამოწრთობილი უმცროსი მეთაურები.

მ. ჭყონია.

## მჭიდრო კავშირი გვაქვს სამხედრო კუთხეებთან.

მე-6 ლეგიონის, მე-5 ასეულის ძირედ შემადგენლობამ შესძლო მოეწყო სამი სამხედრო კუთხე, მაჩხაანის, ბოდბისხევის და ჯუგაანის კოხ-სამკითხველოებში.

აღნიშნულ სოფლებიდან ასეულს აყვანილი ჰყავს აღრიცხვაზე არა ნაკლები 50 ცვ. წ. არმ. თითო სოფლიდან. ასეულმა მიზნათ დაისახა, რათა პირველ რიგში გაეხსნა სამხედრო კუთხე აღნიშნულ სოფლებში, სადაც საშვალება მიეცემოდა ცვ. წ. არმიელებს, რომ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ცხოვრებლების გასამხედროებაში. ასეც მოხდა. თითო სამხედრო კუთხეს მივამაგრეთ ორორი ცვ. წ. არმიელები, რომლებიც ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ. ამ ორი დღის წინეთ ასეულის მეთაური გაეცნო აღნიშნულ კუთხეების საქმიანობას, რომელიც ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

ადგილობრივი ხელისუფლება და გლეხობა დიდათ დაინტერესდენ სამხედრო კუთხის საქმიანობით და დიდ მონაწილეობას ღებულობენ. უამრავი გლეხობა იყრის თავს კვირაობით და ეცნობიან სამხედრო ტეხნიკას.

სამხკორი მეფარიშვილი.

## საუბარი ლიტერატურაზე.

მე-2 ლეგ. 6 ასეული.

5 აპრილი. წვიმიანი დღეა. ასეული მთელი დღე ყაზარმებშია. სწარმოებდა თეორიული მეცადინეობა. დასვენების შემდეგ წითელ არმიელებმა თავი მოიყარეს კალენდრულ ცხრილთან და გულმოდგინეთ ათვალიერებდენ. ყველას აინტერესებს დღევანდელი საუბრის თემა. კითხულობენ: „ცნობები ქართულ ლიტერატურიდან“.

—ეს ლიტერატურა რაღა არის? კითხულობს ერთი წითელ არმიელი.

—არ ვიცი ძმაო—უპასუხებს მეორე.

ერთმა სცადა აეხსნა ეს სიტყვა დაინტერესებულისათვის, მაგრამ ვერ შესძლო.

უეცრად გაისმა ოცეულის მორიგის ხმა... ლენკუთხე გაივსო წითელ არმიელებით. დაიწყო საუბარი. მეთაური თვალსა დაწვრილებით შეეხო საკითხს. ყოველმხრივ განმარტა, გააშუქა. სიტყვა ლიტერატურაც ახსნა. წითელ არმიელები ხმა გაკმენდილი უსმენდენ.

წაკითხული იქნა ნაწყვეტები სხვა და სხვა მოთხრობებიდან.

შემდეგ შეეხო ეგნატე ნინოშვილის მოთხრობას „გოგია უიშვილს“.

ამ გარემოებამ ყველა ასიამოვნა, რადგან 12 აპრილისათვის დანიშნული იყო ამ მოთხრობის გმირის გასამართლება, წინასწარ შინაარსის გაცნობა და მთავარი გმირის დახასიათება მიზანშეწონილი იყო.

საუბარი მეტად შინაარსიანათ იქნა ჩატარებული. წითელ არმიელები კიდევ დიდხანს იყვნენ მისი შთაბეჭდილების ქვეშ.

სამხკორი ილ. მრინავა.

## მისაბაძი წითელ არმიელები.

მე 4 ლეგ. 9-ე ასეული.

ჩვენი ასეულის წითელ არმიელები დიდი გულმოდგინებით სწავლობენ ყველაფერს. ჩაბმული არიან ასეულში არსებულ ყველა წრეების მუშაობაში. ყველა საუკეთესო მკითხველებად ითვლებიან. წიგნებს მრავლად კითხულობენ. ხშირად ასეულის ბიბლიოთეკა, რომ ვერ დააკმაყოფილებს მათ, სარგებლობენ სამაზრო ბიბლიოთეკიდან. ყოველ დღე კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს. მრავალი წითელ არმიელებმა აქ ისწავლეს წერა-კითხვა.

ასეული შესძლებს გაამართლოს თავის დანიშნულება.

სამხკორი იმერლიშვილი.

## დავამთავრეთ საზამთრო მეცადინეობა.

მე-2 ლეგიონი.

ლეგიონში უკვე კარგა ხანია, რაც დავამთავრეთ საზამთრო პროგრამა. თეორიულად გავლილ საგნებს ეხლა პრაქტიკულად გავდივართ. ხშირად გავდივართ ველში სროლის საწარმოებლად. წითელარმიელები დიდი ინტერესით ეკიდებიან მეცადინეობას. სროლაში დიდ უნარს იჩენენ.

მეორე მხრივ ლეგიონში გაცხოველებული მზადებაა ბანაკში გასასვლელად. ყველა ნაწილებს აქვს დავალებული სათანადო სამუშაო. ზოგიერთი კი ბანაკის მოსაწყობად იგზავნებიან წინასწარ.

სამხკორი შ. რევიშვილი.

## ლენინის კუთხე ამოქმედდა.

მე-5 ლეგ. მე-2 ათასეული.

ათასეულის ლენინის კუთხე ძლიერ გამოცოცხლდა მას შემდეგ, რაც მოგვემატა წითელარმიელები ლეგიონიდან. ამხანაგების მოსვლის შემდეგ განახლდა საუბრები, ხმამაღალი კითხვის წარმოება და ლექციები. ხშირად ეწყობა საუბრები თვით ლენინის კუთხის მნიშვნელობის შესახებ.

მალე ჩვენი კუთხე შესაფერ ადგილს დაიჭერს ლეგიონის ნაწილების ლენკუთხეთა შორის. ამის საწინდარია ამჟამად ჩვენთან წარმოებული მუშაობა.

სამხკორი გ. ნოზაძე.

## ქალთა ორგანიზაციის მუშაობა მე-3 ლეგიონში.

ამ რამოდენიმე დღის წინად, ლეგიონში შესდგა ქალთა ორგანიზაციის კრება. დაესწრნენ 15 ქალი.

დღის წესრიგში იყო ქალთა ორგანიზაციის ბიუროს არჩევნები და სხვა მიმდინარე საკითხები.

ქალთა ორგანიზაციის დაარსების მნიშვნელობაზე ლეგიონში, ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჰკადუა. ის შეეხო თუ რა შეუძლიანთ გააკეთონ ქალებს განსაკუთრებით საკლუბო დარგში და როგორ როლს ითამაშებენ ნაწილის კულტურულ საქმიანობაში. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ამხ. შავლაძე და მოუწოდა მათ აირჩიონ საქმიანი ბიურო. ბიუროს არჩევნების შემდეგ გაირჩა ზოგიერთი მიმდინარე საკითხები.

იმედია ქალთა ორგანიზაცია გაამართლებს ლეგიონის იმედებს, კულტურულ მუშაობაში საკუთარი წვლილის შეტანით.

ქალკორი პატარა საგურამოელი.

## ახალი პოლიტხელები და მეთაურები.

ქართულ მეთაურთა სკოლაში და პოლიტსკოლაში 6 აპრილს დაიწყო კურსანტთა წლიური გამოცდები.

გამოცდები სწარმოებს ყველა საგნებში და პრაქტიკულ ვარჯიშობაში. უკანასკნელი კურსებისათვის ეს გამოცდებია საგამოშვებო გამოცდები, ხოლო დაბალი კურსებისათვის შემდეგ კურსებზე გადასასვლელი.

საგამოცდო კომისიებში შედიან პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი, სკოლის პედაგოგიური საბჭოს წევრი და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

გამოცდები დასრულდება 20 აპრილს, რის შემდეგაც კურსდამთავრებული კურსანტები გაიგზავნებიან ნაწილებში პრაქტიკაზე.

ამნაირად ახლო ხანში ქართული ჯარის რიგებს შეემატება პოლიტხელმძღვანელებისა და მეთაურების ახალი რაზმები.

### საკლუბო დარგს სძინავს

მე-2 ლეგიონის მეორე ასეულის საკლუბო მუშაობა ძლიერ მოისუსტებს ამ უკანასკნელად. არ იდგმება წარმოდგენები; კინო-სურათები ხომ იშვიათი მოვლენაა ჩვენთან. ძლივს გვახსოვს-მხოლოდ ერთხელ დადგეს რაღაცა. მას შემდეგ ჩვენ წითელ არმიელებს არაფერი უნახავთ. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას—არც დრამწრე აკეთებს რამეს. მისი მეცადინეობა კარგა ხანია აღარ შემდგარა.

სამხკორი გულეიკარელი.

## წკიპურტები.

(სამხკორთა წერილებიდან)

### მე-2-ე ქართ. მსრ. ლეგიონის მე-9-ე ასეულის წითელ არმიელს „სიმართლის მთქმელს“.

მაშ ამხ. ზირაქაშვილმაც დაიწყო! მერე შე დალოცვილო „სიმართლის მთქმელო“ რისა გეშინია, ძველი დრო ხომ არ გგონია, რომ სიმართლის თქმისათვის მოგხვდეს. დეე, გაიგოს თვით ზირაქაშვილმაც, რომ შენ ხარ მისი ცოდვების მამხილებელი. უდიერათ მოპყრობა არავის შერჩენია და არ შერჩება.

მაშ ასე, გაიძახის ზირაქაშვილი, „ამისთანა გაგრია და უბედურ ხალხისათვის წამალია ნიკოლოზის როზგიო“. ძალიან ჭკვიანი უნდა იყვეს, ეგ ზირაქაშვილი, როგორც ეტყობა, ვნახოთ ეს სიჭკვიანე სადამდის მიიყვანს.

მაგრამ, ვშიშობ, ამ როზგებმა, რომელსაც იგი ძალიან ეტრფის, არ აუწვან მაგას რბილი ადგილი.

### ჯამაგირი და „სტენკა“

იცით რა არის სტენკა? პატარაობისას ალბათ გითამაშნიათ, ფულით თუ არა, „სპიჭკებით“ მაინც. მიარტყამ კედელს ფულს, მიარტყამს მეორე მოთამაშეც, მერე გაზომავ მტკაველით და თუ ზომაში მოვიდა, ფული მოგებულია. ხალისიანი გართობაა! აი 1-ლი საარტ. ლეგიონის სკოლის 1-ლი მწყობრის კურსანტებმა, მიიღეს ჯამაგირი (სულ შაურიანები) და დაიწყეს მირტყმა კედელზე, გაჩაღდა სტენკა. ფულიც წააგეს ბიჭებმა, კედელიც მიანგრიეს.

ძალიან ჭკუის პატრონები ყოფილან! ვურჩევ ტვინი აიცრან, რა ვიცი, კაცნი ვართ, უარესი არ დაემართოთ.

### ვაიმე ჩვენო კბილებო და თან ჩემო ღრძილებო!

ჯერ ნუ აგტკივა კბილი ან ღრძილი, თორემ თუ აგტკივდა, წასულია შენი საქმე, უნდა გამოეთხოვო ტკბილ ძილს, მოსვენებას, პურის და ხორცის გემრიელ ჭამას და გადახვიდე მხოლოდ და მხოლოდ წყალზე.

მოიგონეს პლომბი. თბილისის სამხედრო კბილის სამკურნალოშიაც არიან დამპლომბავნი. იცე დაგპლომბავენ, რომ შეიძლება საიქიოს „უპერესადკოთ“ წახვიდე. „შენი ჭირიმე ექიმო, აღარ მინდა შენი პლომბა, ამომაძვერ ისევ უკან, გამიმწარა სიცოცხლე, ჯანი გავარდეს ჩემ კბილებს, ოღონდ ცოცხალი დავრჩე და კბილებს „პაშტუკამი“ დავიძრობ.

ეს კბილები. მაგრამ ღუღუნაშვილ პარმენას ღრძილებს რაღა ვუყოთ? „მისვეს იოდი ღრძილებზე, იმდენი მისვეს, რომ კბილები კინაღამ დამცვინდა, ვიტანჯები ხუთი თვე, მშველელი კი არავინა მყავს, მივმართე მე-3 ლეგიონის ცნობათა ბიუროს და არც იმან მომაქცია ყურადღება“.

დღესაც სტირის საწყალი პარმენა თავის დაკარგულ კბილებს და დაზიანებულ ღრძილებს.

ე. ხ.

## სამხედრო ქრონიკა.

— მეთაურთა და პოლიტსკოლაში ამ ჟამად მიმდინარეობს გამოსაშვები გამოცდები უფროს კლასებში. გამოცდები დასრულდება ამ თვის ბოლოში.

— ამ დღეებში მე-2 დივიზიის ნაწილებში დაიწყება უფპოლიტშემადგენლობის სემინარები. სემინარების მიზანია მეთაურთა შემადგენლობის ცოდნის გაღრმავება და დამუშავება პროგრამის, რომელიც უნდა გავლილ იქნეს 1903 წლის ახალწვეულების გამოწვევის 75 დღიან სწავლების პერიოდში. სემინარების შეკრება მოხდება ათასეულებში.

— 1 დივიზიის ნაწილებში სწარმოებს მუშაობა საკარვო გასვლისათვის.

— მე-2 დივიზიის ნაწილების პარტორგანიზაციებში უკვე დაიწყო პარტ-მუშაობის გადასინჯვა და კომუჯრედების მდივნების და ბიუროების გადარჩევა.

კამპანია მიმდინარეობს პარტმუშაობის გაღრმავების ლოზუნგით.

ცვალებადი პარტიულები გადარჩევაში იჩენენ აქტიობას.

### ასეთი ქცევა დაუშვებელია

1-ლ არტლეგიონში ხშირად არის შემთხვევა, რომ რომელიმე წითელ არმიელს ან მეთაურს გამოუძახებენ ელსმენით, მაგრამ მორიგეებს ეზარებათ დასაძახებლად წასვლა და უპასუხებენ, თითქოს არ იმყოფებოდეს ნაწილში ესა თუ ის ამხანაგი. ასეთ მოვლენას ვიმეორებ ხშირად აქვს ადგილი, რის გამო ხშირად მეტად საჭირობოროტო საქმეზე გამოძახებული ამხანაგები, ვერაფერს გებულობენ.

დროა ყურადღება მიექცეს მორიგეების ასეთ საქციელს და პასუხი მოეთხოვოთ.

სამხკორი კორა.

### ყველასათვის ერთი წესი უნდა არსებობდეს

1-ლ ლეგიონში მორიგე მეთაურები, ასეულის მორიგისაგან თხოულობენ დღიურ ცნობებს, მიუხედავად იმისა, რომ ლეგიონის თავის ბრძანებით ასეთი ცნობების მიწოდება არ უნდა ხდებოდეს კარგა ხანია. მთავარი ის არის, რომ ყველა არ თხოულობს. ზოგი ითხოვს ცნობებს და ზოგი არა. ასეულის მორიგემ არ იცის როგორ მოიქცეს. კარგი იქნება ერთ წესს დაადგებოდენ ყველა მორიგეები, წინააღმდეგ შემთხვევაში უწესოობას აქვს ადგილი.

სამხკორი მაყურებელი.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### გაერთიანებული კრება.

ა. წ. 6 აპრილს დივიზიის კლუბის დარბაზში შესდგა ტფილისის გარნიზონში არსებულ ქართულ ნაწილების კომკავშირელთა გაერთიანებული სხდომა კომუჯრედის მდივნებთან ერთად, საკავშირო ა. ლ. კ. კ. ყრილობის მუშაობის შედეგებზე მოხსენების მოსასმენად.

6 საათისათვის დარბაზი უკვე გაჭედილი იყო კომკავშირელებით, ყველა მოუთმენლად ელოდებოდენ. სხდომა გახსნილად გამოაცხადა ამხ. თორაძემ და მოუწოდა დამსწრე ამხანაგებს აერჩიათ პრეზიდიუმი.

არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) პატარაია, 2) თორაძე, 3) კოპლატაძე, 4) ცინცაძე, 5) ცაგარეიშვილი, 6) ბახტაძე, 7) სულაბერიძე, 8) ესებუა, 9) თოდრია შალვა, 10) ურიგაშვილი, 11) ნადარეიშვილი, 12) მამალაძე, 13) მაჩაიძე, 14) ორაგველიძე, 15) გაბუნია დავითი, 16) კულოჯანოვი და 17) ცქიფურიშვილი, რის შემდეგაც ამხ. მომხსენებელი პატარაია, შეუდგა მოხსენებას. მომხსენებლის უმთავრესი ყურადღება მიპყრობილი იყო კავშირის ზრდაზე, მიღწევებზე და ყრილობაზე ოპოზიციის გამოსვლაზე. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი საკითხი აინტერესებდა დამსწრეთ. შეკითხვებიც ამ საკითხების ირგვლივ ბევრი შემოვიდა. დასასრულ ამხანაგებმა შესაფერისი განაჩენი გამოუტანა ოპოზიციის გამოსვლას საკავშირო ა. ლ. კ. კ. ყრილობაზე, რაც ხაზგასმით აღინიშნა ტფილისის გარნიზონის კომკავშირელთა გაერთიანებულ კრებაზე მიღებულ რეზოლიუციაში. მრავალ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

**მაინა.**

## წითელ არმიელთა შემოქმედება

მე-5 ლეგიონის მე-2 ათასეულის მე-6 ასეულში კარგა ხანია გამოდის კედლის გაზეთი „დილის ზარის“ სახელწოდებით; გაზეთი უმთავრესად ემსახურება ნაწილის ყოფა-ცხოვრების გაშუქებას და ხშირად თავსდება შიგ აგრეთვე შვებულებაში წასულ წითელ არმიელთა წერილებიც მათი სოფელში მუშაობის შესახებ და საერთოდ სოფლების მდგომარეობაზე. ამჟამად გამოვიდა გაზეთის მეშვიდე ნომერი. გარეგნულად გაზეთი მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. მრავალია შიგ კარიკატურები ნაწილის ყოფა-ცხოვრებიდან და კერძო პირთა მოქმედებიდან. იუმორი საკმაოდ ცოცხალი და დამაინტერესებელი. წითელ არმიელები მრავლად მონაწილეობენ გაზეთში. ლენკუთხისა და კედლის გაზეთების შემფასებელ კომისიამ პირველობა ჩვენს გაზეთს აკუთვნა.

ვუსურვებთ რედკოლეგიას კიდევ უფრო ემუშაოს გაზეთის უფრო მეტად გაუმჯობესებისათვის.

**სამხკორი გულეიკარელი.**

## უცხოეთის არმიებში

### იაპონიის წყალქვეშა ნავი

1920 წლამდე იაპონიის წყალქვეშა ფლოტი შესდგებოდა 25 წყალქვეშა ნავებისაგან. მათი უდიდესი სიჩქარე აღწევდა 17 საზღვაო კვანძამდე.

მაგრამ გაითვალისწინეს რა იმპერიალისტური ომის გაკვეთილები, თვისი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და შესაფერ მატერიალურ საშუალებათა ნაკლებობა, რომლითაც შეიძლებოდა სხვა სახელმწიფოების წყალზედა ფლოტისათვის კონკურენციის გაწევა, პირველ რიგში ამერიკის ფლოტისათვის, იაპონელებმა მთელი თავისი ყურადღება გადაიტანეს წყალქვეშა ფლოტის გაძლიერებისაკენ. 1920 წლიდან იაპონელები ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ახალი წყალქვეშა ნავების აგებისა და ძველების გადაკეთების, გაუმჯობესების საქმეს.

1921 წლის ბოლოსთვის იაპონიის წყალქვეშა ფლოტს შეემატა 12 წყალქვეშა ერთეული, რომლებსაც გაცილებით უფრო დიდი სიჩქარის და მოქმედები რადიუსები აქვთ, ვინემ ძველ ერთეულებს. მეორემხრივ ტეხნიკურადაც ძლიერ გაუმჯობესებული არიან. 1922 წლის დასასრულს კიდევ დაამზადეს 12 წყალქვეშა ნავი, 1923 წ.—13 და 1924 წ. კი 20 წყალქვეშა ნავები.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სამხედრო სამინისტროსაგან გამოთხოვილი დამატებითი ხარჯთაღრიცხვა 350 მ. იენი, რომელიც დამტკიცებული იქნა მთავრობის მიერ, მოხმარდება სამხედრო წყალქვეშა ფლოტის კიდევ უფრო გაძლიერების საქმეს.

გასულ წელში წარმოებული მუშაობა ფლოტის ტეხნიკური გაუმჯობესების, მისი საშუალებით რადიოგრამების მიღებისა და გადაცემის წყლის საგრძნობ სიღრმიდან, რომელიც უზრუნველყოფს წყალქვეშა ნავებს დაღუპვისაგან მისი დაზიანების შემთხვევაში, წყალქვეშა ფლოტის სპეციალური მანევრები საზღვაო ავიაციასთან ერთად და დასასრულ გაცხოველებული მუშაობა საზღვაო ვემთავლმშენებლობის სახელოსნოების გასაუმჯობესებლად სხვა და სხვა ნავთსადგურებში, სავსებით ამტკიცებს ამას.

## თემაღმასკომების მუშაობა გორის მაზრაში.

გორის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თემაღმასკომების მუშაობას. ამ მიზნით მან დაავალა ყველა სათემო აღმასკომებს შეიმუშაონ სამთვიური მუშაობის გეგმა და შეუდგენ ამ გეგმის განხორციელებას.

გეგმებში დაწვრილებით იქნება აღნიშნული თემებში შემავალ სოფლებში გზების გაყვანის, აღმშენებლობის და სხვა საკითხები.

იმ მიზნით, რომ მოსახლეობა უშუალოთ ხედავდეს თუ რას აკეთებს მისი თემაღმასკომი—დაევალა თემაღმასკომებს თვეში ერთხელ მოიწვიონ გლეხთა ყრილობები და ჩააბარონ მათ თავიანთი ერთი თვის საქმიანობის ანგარიშები.

ასეთივე დავალებები მისცა სამაზრო გლეხკომმა ყველა სათემო გლეხკომებს, რომლებიც ვალდებულნი არიან დრო და დრო ჩააბარონ თავიანთი მუშაობის ანგარიშები გლეხკომების წევრების ყრილობას.

თვით სამაზრო აღმასკომის წევრებს დაევალათ თვალყური ადევნონ თემებში სამთვიური გეგმების ჩატარებას და ამ მიზნით ხშირათ მოაწყონ ადგილების ჩამოვლა.

## ამბები სოფლებიდან.

**გზების გასაყვანათ.** ლეჩხუმის აღმასკომმა დაადგინა უფასოთ მისცეს გლეხებს ასაფეთქებელი მასალები, გზების გასაყვანათ. სამაზრო აღმასკომმა დახარჯა 2.500 მან.

**საავტომობილო მიმოსვლა.** რაჭის აღმასკომმა მოაწყო საავტომობილო მიმოსვლა ონსა და ქუთაისს შორის.

**ონის პედაგოგიური ტეხნიკუმის შესაკეთებლად** რაჭის

**საბეითლო პუნქტი.** ხულოში (აჭარა) გაიხსნა საქონლის ჭირთან საბრძოლველათ საბეითლო პუნქტი.

**მიწათმოწყობა.** კოდორის მაზრაში (აფხაზეთში) ახლო ხანში შეუდგებიან სოფლებში მიწათმოწყობას.

## ახალი ამბები.

— **საქ. კომპარტიის ცენტ. კომიტეტმა** დაუგზავნა ცირკულიარული მოწერილობა სამაზრო პარტიულ კომიტეტებს 2 დივიზიის პარტორგანიზაციის გადასინჯვასა და გადარჩევაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

— **საყინულეები.** ტფილ. აღმასკომმა გადასწყვიტა რკინისგზის საჭიროებისათვის მოაწყოს საციებელი საწყობები.

— **თიანეთის ხე-ტყის ქარხანას** ტფილ. აღმასკომმა გადასცა ერთი ლოკომობილი.

— **ფუნიკულიორი** აღმასკომის დადგენილებით იმუშავებს ღამის 2 საათამდე.

— **წყალსადენის** მიერ დღეღამეში ქალაქს ეძლევა 1 მილიონ 700 ათასი ვედრო წყალი.

— **გუთნები.** აფხაზეთს გაეგზავნა 350 ცალი გუთანი.

— **ტელეფონზე და ტელეგრაფის მუშაკების** მოსამზადებლათ ტფილისში იხსნება მოკლევადიანი კურსები.

— **მოძრავი კინო.** აღმასკომმა მოაწყო მოძრავი კინო, რომლითაც ახლო ხანში დაიწყება განაპირა უბნებში სანიტარულ სურათების ჩვენება.

— **ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება** შეუდგა პლეხანოვის პროსპექტის შეკეთებას.

— **შრომის კომისარიატის** დადგენილებით ახლო ხანში შეუდგებიან სამხედრო უწყებებში მომუშავეთა მუშაობის პირობების გამოკვლევას.

## პასუხად წ. არმ. „მოლოდინს“.

გაზ. „წითელ არმიელის“ № 76 მოთავსებულია ვიღაც წ. არმ. „მოლოდინის“ წერილი „როდის მოეღება ბოლო“, სადაც ის უტიფრად სწამებს ცილს ლეგიონის პურის საცხობის წითელ არმიელებს, თითქოს ჩვენ ხელზე ვღებულობდეთ ულუფას და ამავე დროს სადილს ლეგიონის საერთო ქვაბიდან ვღებულობდეთ.

კატეგორიულად ვაცხადებთ პურის საცხობის ყველა წითელ არმიელები, რომ წ. არმ. „მოლოდინი“ სასტიკად ტყუის. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე ჩვენგანს ხელზე მიეღოს ულუფა. ჩვენი ულუფა, როგორც სხვა წითელ არმიელების საერთო ქვაბში შედის და იქედანვე ვიღებთ სადილებს.

რად დასჭირდა „მოლოდინს“ ასეთი სიყალბის დაწერა და ჩვენი ხელზე დახვევა? რაც არ უნდა იყოს, ამხ. უნდა გრძნობდეს, რომ პრესაში გამოსვლის დროს მეტი პასუხისმგებლობა და სიფრთხილეა საჭირო, რომ შეცდომაში არ შეიყვანოს რედაქცია.

სირცხვილია, სირცხვილი ამხ. „მოლოდინო“ ასეთი ცილის წამება.

პურის საცხობის წითელ არმიელები: ბობოხიძე, ჩინჩალაძე, კალანდაძე, ტყაბლაძე, აბაზაძე, სოსელია, ქინწურაშვილი, ბენიძე, ხაჭაპურიძე, პახკარაშვილი, გაფრინდაშვილი, გოგნიჩაძე და ჯანჯღავა.

## ახალი წიგნი.

მეთაურთა სკოლის ინიციატივით სამხედრო გამომცემლობას გადაეცა გამოსაცემათ შიფრესის წიგნის ქართული თარგმანი „პოლიტიკური მუშა... ბა ტერიტორიალურ ნაწილ... ში“.

## პასუხი შეკითხვებზე

— ინ—ველს. სანამ ორი წლის ტარების ვადა არ შეუსრულ... დება მაზარას, ისე ახალს არ მიიღებთ (ბრ. № 891—24 წ.)

— ხიდის თაველს. მიწის გარშემო ატეხილი დავა უნდა მო... წესრიგოს მიწის კომისიამ. მიმართედ მას.

— საჩხერელს. კომუნალური ფული არ გერგებათ.

— მა—ძეს. საქმის მწარმოებელი ეკუთვნის ადმშემადგენლო... ბის მესამე კატეგორიას.

— მე—შვილს. მიმართედ ტერსამ. არსებულ მთავარ მიმღ... კომისიას, რომ თანახმად სავალდ. სამხ. სამსახურის კანონის 9... მუხ. გადარიცხულ იქნეთ ტერნაწილში. მხოლოდ ამ კომისიას შე... ძლია თქვენი განთავისუფლება.

— მოდებაძეს. განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ საექიმ... კომისიის დადგენილებით.

— გ—იას. დახმარებისთვის მიმართედ აღმასკომს და გლეხკომ...

— ვ—ძეს. ზედმეტ მსახურმა უნდა იმსახუროს ერთი წელ... წასვლის შესახებ 2 თვით ადრე უნდა განაცხადოს. (ბრ. № 1288—24 წ.)

— ამაშუკელს. საათების ფული არ გერგებათ.

— ომიაშვილს. თუ უვარგისად ხართ ცნობილი სამწყ. სამს... ხურისათვის, სამხედრო სკოლაში გაგზავნილი არ იქნებით.

— მეთაურს. მეთაურთა გადაყვანის შესახებ ნახეთ ბრძანებ... № 8—25 წ.

— გომელს. გეკუთვნით.

— სიორიძეს. შეგიძლიათ.

— სორტელს. მოგვწერეთ რამდენი წელიწადი იმსახურეთ.

— ობჩელს. მოგვწერეთ რამდენი წლისაა თქვენი დედა და დ...

— ა—შვილს. ითვლებით უბილეთო მგზავრად. გადაგახდ... ვინებენ.

— მასვე. გადაკეთება მაზარის თქვენს ტანზე შეგიძლიათ.

— ბიბლიოთეკარს. არავითარი ნიშნების ტარება, გარდა პ... ტლიცისა არ შეგიძლიათ.

— ბაღდადელს. თქვენი და შრომის უნარიანად ითვლება. ა... გაგანთავისუფლებენ.

— აქაურს. არა ცალკე ასეულის ბიბგამგე ჯამაგირს იღე... ისე, როგორც სხვა ყველა წითელ არმიელები (რევსამხსაბჭოს ბ... № 1388—24 წ.)

## ჩვენი ფოსტა.

სამხკორებს დამსწრეს (მე-6 ლეგ. სკოლა), ქალაქის პირელს (1-ლ ლეგ), ი. ჩიტეიშვილს (1-ლ ლეგ. სკოლა)—თქვენი წერილებ... გამოდგებიან ადგილობრივ კედლის გაზეთისთვის.

ვ. ნოზაძეს, ამხ. სანდროშვილს, ვ. შარმადინს, ვ. ღვინჭილიას, ... ელიაშვილს, ივანიშვილს—თქვენი წერილები არ დაიბეჭდებ...

სამხკორთა საყურადღებოთ: რედაქცია ერთხელ კიდევ მოგაგონებ... რომ ხელმოუწერელი კორესპონდენციები არ დაიბეჭდება. ფს... ვდონიმთან ერთად აღნიშნულ უნდა იყვეს გვარი, სახელი ... ნაწილი.

დ. ქავჭანიძეს. წერილი ზოგადია. საჭიროა უფრო მოკლედ პრა... ტიკული მითითებანი.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქ. ცხენ. ლეგიონის ბ/კოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხ... დებები პარტკანდიდატობიდან—პარტწევრათ გადარიცხვის შესახ... შემდეგ ამხანაგებს: 1) ხაბეიშვილი ბიქტორს, 2) კახიძე პეტრეს ... 3) მარგველაშვილი შალვას და აგრეთვე კომკავშირიდან კომპარტი... კანდიდატად გადარიცხვის შესახებ ხაჭაპურიძე აკაკის.

ამხანაგების საწინააღმდეგოთ თუ აქვს ვინმეს რამე გთხოვ... გვაცნობოთ ბიუროკოლექტივში.

---

პირველ ლეგიონის მე-7 ასეულის კომუჯრედში შემოტანილ... აქვთ განცხადებები კომპარტიაში კანდიდატებათ მიღების შესახ... შემდეგ ამხანაგებს: გვათუა ანდრო დავითის ძეს და კაჭკაჭიშვილ... თომა ყაზარის ძეს (ორივე უპარტიო), გაბუნია დავით ბესარიონი... ძეს (ა. ლ. კ. კ. წევრი) და კომპარტიაში წევრათ გადარიცხვის შ... სახებ, ამხ. რამიშვილი აკაკი ვასილის ძეს.

თუ ვისმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს პირველი სამის კომპა... რტიის კანდიდატათ მიღებაზე და მე-4 კომპარტიის წევრათ გად... რიცხვის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლ... ბაში.

---

მე-5 ქართ. მსროლელ ლეგიონის მე-3 ათასეულის კომუჯრე... დში შემოტანილი აქვს განცხადებები პარტიაში მიღების შესახ... შემდეგ ამხანაგებს: 1. ჰანტურია ბარნაბს (თხოულობს პარტიის კა... ნდიდატად მიღებას), 2. ჩაჩუა შალვას, 3. კოტე მესხს 4. ანდღულ... იაკობს 5. გვანცელაძე ლ. თხოულობენ პარტიის წევრად დამტკიცებ...

თუ ვინმეს საწინააღმდეგო აქვს მათ მიღების შესახებ, გთხოვ... გვაცნობოთ ხსენებულ უჯრედში.

---

**ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ** ცხინვალის სამაზრო ახკომკავშირიდ... მოცემული კავშირის წევრობის მანდა... № 3475, ილია ჩიხლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

---

**ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ** პარტკანდიდატობის № 706, და კავშირ... წევრობის წიგნაკები № 8677, ალი ... რიფელის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ, დ. ს. ტ. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.